

ყველა ოზურგეთელს ვულოცავ აღდგომას უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი! საქართველომ უფლის მსგავსად გოლგოთის გზა არაერთხელ გამოიარა. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ყოველგვარი განსაცდელი წარსულის კუთვნილებად იქცევა.

ქვეყნის პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური აღმასვლა ჩვენი ქვეყნის მომავლის გარდაუვალი აუცილებლობაა.

გისურვებთ თითოეულ თქვენგანს სულიერ ამაღლებას, ყველა ოჯახს - სიმტკიცესა და ეკონომიკურ სიძლიერეს!

ქრისტე აღსდგა

**ზვიად კვაჭანტირაძე,**

(დ) თქვენი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში.



უდიდეს საუფლო დღესასწაულს, ქრისტეს აღდგომას გილოცავთ! აღდგომა გვირგვინია იმ დღესასწაულებისა, რომელსაც ქრისტიანული სამყარო ზეიმობს! სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების, ახალი იმედების, განახლებისა და უდიდესი სიხარულის დღე!

უფლის მადლი და წყალობა არ მოგკლებოდეთ! ქრისტე აღდგა!

პატივისცემით:

**ქეთევან მოისწრაფიშვილი**

სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი

(დ)



ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს! ჩვენთვის, მართლმადიდებელი ქრისტიანებისთვის, ეს არის უდიდესი დღესასწაული, რომელიც რწმენითა და სიხარულით გვავსებს. ეს არის სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების, სულიერი ამაღლების დღესასწაული. შეგეწიოთ აღდგომის მადლი.

**დავით დარჩია.**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

(დ)


# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №15 (10105), 13 აპრილი, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.


## გურიაში ეკომიგრანტებისთვის 15 სახლი შეიძინეს

**ალიონი.** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი სოზარ სუბარი, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (**SDC**) რეგიონული დირექტორი რუდოლფ შოხი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ოზურგეთსა და ლანჩხუთში განსახლებულ ეკომიგრანტ ოჯახებს შეხვდნენ და მათი საცხოვრებელი პირობები მოინახულეს

**SDC**-ის დაფინანსებით, აჭარის მაღალმთიანი მუნიციპალიტეტებიდან 20 ოჯახს შეუძინეს სახლი, მათ შორის თხუთმეტს გურიის რეგიონში. საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში, გურიის სოფლებში ეკომიგრანტი ოჯახებისათვის შესყიდული იქნა დამატებით 8 სახლი. საცხოვრებელი სახლები სტიქიით დაზარალებულმა ოჯახებმა თვითონ შეარჩიეს.

ოჯახების უმეტესობა რომლებსაც გურიაში სახლები შეუძინეს, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ პანტნარიდან არიან. მინისტრის თქმით, აღნიშნული სოფელი, მძიმე ეკოლოგიური პირობების გამო, მოსახლეობისგან თითქმის დაცლილია.

სამინისტროს, **SDC**-


▶▶▶ გვ-2






ქრისტე აღდგა!

დღეს სრულიად მართლმადიდებლური სამყარო ყველაზე დიდ დღესასწაულს, აღდგომას ზეიმობს. ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანთან ერთად ვიზიარებ ამ დღის სიხარულს. ღვთის რწმენას, სიკეთეს და სულიერ სიძლიერეს გისურვებთ. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ.

**ბეგლარ სიორიძე**

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი

(დ)



განურჩევლად მრწამსისა და წარმოშობისა, ყველას გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს! შეგეწიოთ აღდგომის მადლი თქვენ და თქვენს ოჯახებს. ქრისტე აღდგა!

**მერაბ ჭანუყვაძე**

(დ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი




(რ)

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

*ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით*

**საცალო ფასი: 50 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2 ლარი,**
**სამი თვით – 6 ლარი,**
**6 თვით –12 ლარი,**
**ერთი წლით – 24 ლარი.**

***გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.***

***ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.***

***რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.***

***რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.***

***გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.***



## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
**nugzarasatiani@rambler.ru**
**558 499100**

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
**tem52@mail.ru**
**599 373515**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
**gia_77@mail.ru**
**551 576060**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77



დაიწყეთ ყოველი ოთშაბათი ალიონზე

«ალიონით»


# გურიაში ეკომიგრანტებისთვის 15 სახლი შეიძინეს



...ის, აჭარის მთავრობისა და რეგიონული განვითარებისა და სოციალური დახმარების ცენტრს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, რეგიონული განვითარების ცენტრმა ეკომიგრანტ ოჯახებს საჭიროებაზე მორგებული პირველადი დახმარება გაუწია. პირველადი დახმარება გულისხმობს სტიქიით დაზარალებული ოჯახებისთვის საქონლის, სათესლე მასალის, შესაწამლი აპარატურის, სასუქის შესყიდვას.

ოზურგეთში, სოფელ მერიაში ზურაბ ვაშაყმაძის 3–სულიანი ოჯახი დასახლდა. ვაშაყმაძეებს შეუძინეს ძროხა, ხბო. ვენახის შესაწამლი აპარატი, კარტოფილისა და სხვადასხვა ბოსტნეულის სათესლე მასალა. 150 კგ სასუქი, ძროხის ასაცრელი პრეპარატები, ჩითილის გამოსაყვანი კასეტები და მიწა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ეკომიგრანტებისთვის შეძენილია 5 სახლი.

2015 წელს **SDC**-ის დაფინანსებით, ეკომიგრანტი ოჯახებისთვის კიდევ 25 სახლი იქნება შესყიდული. მიმდინარე წელს, სამინისტრო საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში, სტიქიით დაზარალებული ოჯახებისათვის 100-მდე სახლს შეიძენს.

# სხდომა, რომელზეც დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე უფრო აქ გაკეთებული განცხადებებით დაინტერესდნენ



**ალიონი.** ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 6 აპრილის სხდომაზე განიხილეს და დაამტკიცეს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.

ცვლილებები და დამატებები შეიტანეს საკრებულოს 2014 წლის 14 ნოემბრის №97 განკარგულებაში „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“.

დაამტკიცეს საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობა.

მიიღეს გადაწყვეტილება ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ანასეულის ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის გასხვისებასთან დაკავშირებული პრობლემის შესწავლის მიზნით, დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ

რაც უნდა პარადოქსულად ჩანდეს, დეპუტატების ერთმა ნაწილმა და საკრებულოზე დამსწრე საზოგადოებამ დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე გაცილებით მეტი ყურადღება გამოიჩინა განცხადებებისადმი, რომელიც აქ გაკეთდა. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია დეპუტატ ლევან მგელაძის განცხადებას, რომელმაც დააყენა საკითხი, შექმნილიყო დროებითი კომისია სტადიონის ყოფილი დირექტორის მურთაზ აბაშიძესა და ქალაქის მერიას შორის არსებული სადავო საკითხის შესასწავლად.

„ჭეშმარიტებას დადგენასთან ერთად, ამით გარკვეულად დავეხმარებით ქალაქის მერიას პრობლემის მოგვარებაში, მით უფრო, რომ ამ საქმეზე ორჯერ წააგო სასამართლო პროცესი“ – განაცხადა მგელაძემ.

ქალაქის მერის ბეგლარ სიორიძის ინფორმაციით, ეს საქმე ჯერ არ დამთავრებულა, რამდენადაც მას სააპელაციო სასამართლო იხილავს:

„ქალაქის მერიას ამ საქმეში ნამდვილად არ სჭირდება დახმარება, საქმეს სააპელაციო სასამართლო განიხილავს. აჯობებს, დაველოდოთ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას და ვიმოქმედოთ ამ გადაწყვეტილების შესაბამისად“ – თქვა სიორიძემ.

ორჭოფობის კვალი დატოვა დეპუტატ გოჩა ძიმისტარიშვილის წინადადებამ, რომელმაც მხარი დაუჭირა ამ საკითხზე დროებითი კომისიის შექმნას, თუმცა იქვე დასძინა, რომ ეთანხმებოდა ქალაქის მერის წინადადებას, დალოდებოდნენ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას.

# 9 აპრილი – ეროვნული ტკივილისა და სიამაყის დღე ლიხაურში



**ალიონი.** 9 აპრილს, სოფ. ლიხაურში, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის დაღუპული ნინო თოიძის საფლავთან ყოველწლიურად მიდიან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ვეტერანები, სხვადასხვა პროფესიისა და შეხედულებების ადამიანები, სტუდენტები, მოსწავლეები. სასაფლაოზე მიდიან პოლიტიკური პარტიებისა და ხელისუფლების წარმომადგენლები.

9 აპრილს, გურიის მხარის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელმა, ქეთი მოისწრაფიშვილმა .

ქალაქ ოზურგეთის მერმა, ბეგლარ სიორიძემ, თემების მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩიამ, გამგებელი მერაბ ჭანუყვაძემ ნინო თოიძის საფლავი მოინახულეს და ყვავილების გვირგვინით შეამკეს. სასაფლაოზე იყვნენ ყოფილი უზენაესი საბჭოს დეპუტატი ზაურ კოსტავა, ოზურგეთის პირველი დამოუკიდებელი საკრებულოს ყოფილი დეპუტატი, მხატვარი ვახტანგ მამეიშვილი და სხვები.

„1989 წლის 9 აპრილის შემდეგ უკვე 26 წელი გავიდა, თუმცა მე ცხადად მახსოვს ამ დღის ემოცია და ტრაგიზმი, რომელმაც მთელი საქართველო მოიცვა და დღემდე არ განელებულა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ჩვენ ყველანი ამაყები უნდა ვიყოთ, რომ სამშობლოს ჰყავს პატრიოტები, რომლებიც ქვეყნის ერთიანობისთვის სიცოცხლეს სწირავენ. ეს არის დღე, რომელსაც ტკივილი და სიამაყის განცდა ერთდროულად ახლავს.'' - აღნიშნა ქალაქის მერმა.

–მართალია, მეოთხედ საუკუნეზე მეტი გავიდა, მაგრამ ჩემთვის დღესაც ტკივილიანია ეს დღე. ნინო საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლას შეეწირა. ამ დღეს ყოველწლიურად მოდიან ადამიანები ნინოს საფლავთან. განსაკუთრებით მახარებს სკოლის მოსწავლეების ყურადღება. იმ დღის ტრაგედია და ერის სულიერი ამაღლება თაობებს გადაეცემა –გვითხრა ნინოს დამ ქეთევან თოიძემ.

სოფ. ლიხაურის კულტურის სახლში მოსწავლეებმა 9 აპრილისადმი მიძღვნილი მუსიკალურ-მხატვრული კომპოზიცია წარმოადგინეს.

ამ დღეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ასევე ყვავილებით შეამკეს სამშობლოს დამოუკიდებლო-ბისთვის დაღუპულთა ობელისკი და ეროვნული გმირის, ზაზა დამენიას საფლავი.

# მათ დაიმკვიდრეს სასუფეველი

### *ეძღვნება 9 აპრილს დაღუპულ მამულიშვილთა ხსოვნას*

მტარვალს მოსწყურდა ქართველთა სისხლი.
რაც დაიღვარა, არ კმარა, ძველად –
დიდგორის ომში, შამქორის ომში,
ბასიანის თუ მარაბდის ველად?

მზრახველს ამისა არ სურს მშვიდობა.
სული ბნელი აქვს, სიკეთეს ზარავს.
მოდის ნიჩბებით, ალესილ ხმლებით,
არავის ინდობს, თვით ბავშვსაც არა.

ხალხს მოგვენატრა თავისუფლება,
სხვისი მონობა მოგვწყინდა მარად.
თავისუფლებას ვითხოვდით იმ დღეს,
გაბედულად და დაუფარავად.

იმ ცხრა აპრილის სევდიან დილას,
ყველას რომ უმძიმს მისი ხსენება.
ბევრი ეცადა ვერაგი მტერი,
ვერ შეძლო ჩვენი მან შეჩერება.

ქართველთა შორის კვლავაც გამოჩნდა
ნინო, ელისო, შალვა ომარი.
სამშობლოსათვის თავის გაწირვა, –
აი, რა იყო მათთვის მთავარი.

არ დაცემულა სულით ქართველი,
თუმც მოდიოდა რისხვით მრბეველი.
მოკვდნენ გმირულად და დაიმკვიდრეს
უკვდავება და სასუფეველი.

**ნანა ჯანხოთელი**

# უსაფუძვლოდ ლაფს ნუ გვესვრით, ბატონებო!

## რამდენიმე რეპლიკა ოზურგეთის ბავშვთა სტომატოლოგიური კლინიკის გასხვისებასთან დაკავშირებით ატეხილ აჟიოტაჟზე

**ალიონი.** ოზურგეთში ბავშვთა სტომატოლოგიური კლინიკის გასხვისების ყბადაღებული თემის განხილვისას, გაზეთ ,,ალიონს“ ზოგმა ღიად ცილი დასწამა, ზოგმა ირიბად კბილი გაჰკრა, ზოგმა კი საერთოდ იგნორი გაუკეთა.

გაზეთი ,,გურიის მოამბე“ მისთვის ჩვეული უტიფრობით, ყოველგვარი წყაროს მოშველიების გარეშე, წერს: ,,ვრცელდება ინფორმაცია, რომ აუქციონის შესახებ საზოგადოების ნაკლებინფორმირებულობისა და კონკურენტთა თავიდან აცილების მიზნით, ადგილობრივი გაზეთის მთელი ტირაჟი, რომელშიც გავიდა ოფიციალური განცხადება აუქციონის შესახებ, ,,ვი თი ბი“ ბანკის ოზურგეთის ფილიალის მმართველმა, გოჩა სალუქვაძის ძმამ, ბიძინა სალუქვაძემ – მეტსახელად ,,ქოქემ“ შეიძინა“.

არანაირი მსგავსი ინფორმაცია არ გავრცელებულა და არანაირი მთელი ტირაჟი არავის მოუხსნია. ეს ბატონი ლადო მენაბდის ბინძური ფანტაზიის ნაყოფია, რომელიც ჩანასახის ფაზაშივე დამპალია. რასაკვირველია, მკითხველი, რომელმაც კარგად იცის, თუ რა მუცლის გვრემა აწუხებს ამ გაზეთის დამფუძნებელსა და ,,რუსთავი-2-ის“ კორესპონდენტს, რომელმაც წინა ხელისუფლების ხელშეწყობით, საეჭვო ვითარებასა და საეჭვო ფასებში გაკეთებული უვადო უზურფრუქტით, ხელში ჩაიგდო სამოქალაქო რეესტრის ყოფილი ოფისი თავისი ინვენტარით, სადაც ფაქტობრივად სააკაშვილის ტელევიზიის ფილიალი გახსნა, ამ ნაყოფს პირს არ დააკარებს.

ეჰ, ეს განცხადება რომ ,,გურიის მოამბეში“ გამოქვეყნებულიყო, საზოგადოებაც ზეინფორმირებული იქნებოდა (ეს გაზეთი, ,,ალიონისგან“ განსხვავებით, ხომ ,,ხელიდან ხელში გადადის“) და ვეღარც ,,ქოქე“ დაიქოქებოდა, ვერ შეძლებდა მთლიანი ტირაჟის შესყიდვას. ყველაფერი ქალაქის მერიის ბრალია, რომელიც ხან წინ უდგება და ხან უკან ამ გაუთავებელ აუქციონებს!

ისეთი გამოცდილი და ავტორიტეტული გაზეთი, როგორიც ,,გურია ნიუსია“, ასეთ რამეს როგორ იკადრებს, მაგრამ აღნიშნულ თემაზე მის მიერ გამოქვეყნებულ წერილშიც ,,გაასხვისა თუ არა გასაიდუმლოებულად მერიამ ოზურგეთის ცენტრში მდებარე ერთერთი შენობა“, მეტნაკლებად ჩანს, იმ მედიასაშუალებისადმი უპატივცემულობა, რომელშიც გამოქვეყნდა განცხადება ამ აუქციონის შესახებ.

არავის, მათ შორის კოლეგებს, არ ვავალდებულებთ ჩვენი გაზეთის წაკითხვას, მაგრამ მასში არც მთლად ჩაუხედაობა ივარგებს, მით უმეტეს, მაშინ, როცა ასეთ მასალას ამზადებ, ამბობ, რომ ,,მერიამ აუქციონი ისე გამოაცხადა, ამის შესახებ არათუ საზოგადოებამ, არც კლინიკის თანამშრომლებმა და არც ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატებმა არ იცოდნენ არაფერიო“ და მოგყავს მხოლოდ ქალაქის მერიასთან და მერთან დაპირისპირებული მოქალაქეების მოსაზრებანი. ვერავინ დაგვაჯერებს, ჟურნალისტმა, რომელმაც ეს წერილი მოამზადა, სანამ ქალაქის მერიის პრესსამსახურიდან გაიგებდა, არ იცოდა, რომ ხსენებული განცხადება ,,ალიონში“ იყო გამოქვეყნებული. მსუბუქად რომ ვთქვათ, შავით თეთრზე ნაკერს ჰგავს ეს ყველაფერი.

უკომენტაროდ ვერ დავტოვებთ ვერც ქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატის ნათია შარაშენიძის მიერ ,,გურია ნიუსისათვის“ გაკეთებული განცხადების იმ ნაწილს, სადაც ქალბატონი ნათია აღნიშნავს: ,,რატომ იყო გასაიდუმლოებული აუქციონის დღე, რატომ არ იცოდა ამის შესახებ საზოგადოების ფართო ფენებმა და რატომ იცოდა მხოლოდ მერთან დაახლოებულმა პირებმა“.

ხელისუფლებასთან ოპონირების რა მეთოდს გამოიყენებს ოპოზიციონერი დეპუტატი, ეს მხოლოდ და მხოლოდ მისი საქმეა, მაგრამ თუ ქალბატონი ნათია გაზეთ ,,ალიონს“ არ ცნობს და არ კითხულობს, ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც თვითონ ბრძანებს. რომელიმე კოლეგისთვის რომ ეკითხა, აუცილებლად გაიგებდა, რომ აუქციონის შესახებ ნამდვილად იცოდა საზოგადოების ფართო ფენებმა, რადგან ,,ალიონის“ ის ნომერიც, რომელშიც განცხადება დაიბეჭდა, უკლებლივ (ტირაჟი 1000 ცალი) ყველანაირი წესის დაცვით ჩაბარდა მყიდველსა და ხელისმომწერს.

# ბრიფინგი ექსპრომტად



6 აპრილს, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დამთავრებისთანავე საკრებულოს ოპოზიციონერმა დეპუტატებმა ნათია შარაშენიძემ, თამარ ნადირიძემ და ლევან მგელ-აძემ სახელდახელო ბრიფინგი გამართეს.

ლევან მგელაძემ კიდევ ერთხელ განმარტა თუ რისთვის ითხოვა საკრებულოს სხდომაზე ოზურგეთის ცენტრალური სტადიონის ყოფილი დირექტორის მურთაზ აბაშიძის საკითხთან დაკავშირებით დროებითი კომისიის შექმნა:

– ,,ეს ხელს შეუწყობს მხარეებს შორის დავის დამთავრებას, ამავე დროს, ქალაქის მერიის პრესტიჟიცაა. საკრებულოს დეპუტატები ბოლომდე უნდა ვფლობდეთ ინფორმაციას ამ საკითხზე. ქალაქის მერის განცხადება, რომ ის ამ სამართლებრივ დავაში დახმარებას არ საჭიროებს, არალოგიკურია და აქედან გამომდინარე, საეჭვოც, რომ ამ დავის მიღმა რაღაც ინტერესი იმალება“.

ლეიბორისტ ნათია შარაშენიძის თქმით, მურთაზ აბაშიძის საქმეში ქალაქის მერის ქმედებები ყოველგვარ ზღვარს გაცდა:

– ,,მურთაზ აბაშიძესთან მიმართებაში ქალაქის მერის ქმედებები ყოველგვარ ზღვარს გაცდა. საქმე გვაქვს პოლიტიკურ დევნასთან მე სოლიდარობას ვუცხადებ აბაშიძეს“.

როგორც ქალბატონმა ნათიამ თქვა, მიუხედავად იმისა, რომ უარი უთხრეს, ის მაინც შეეცდება მოი-პოვოს ინფორმაციები 2014-2015 წლებში გაცემული ერთჯერადი დახმარებების შესახებ:

,,ეს ინფორმაციები მე მჭირ-დებოდა ჩემი უფლებამოსილების განსახორციელებლად. ეს არ არის საჯარო ინფორმაცია, – განაცხადა შარაშენიძემ, თუმცა, 30 მარტს ,,დემოკრატიული ჩართ-ულობის ცენტრში“ მისი გამოსვლის აუდიოჩანაწერში გარკვევით ისმის, რომ ,,მერი მალავს საჯარო - ინფორმაციას, რაც არის კანონით დასჯადი და ვაპირებთ ამის გასაჩივრებას“.

დეპუტატ თამარ ნადირიძის (დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო“) თქმით, ქალაქის მერიის ამ და სხვა არასამართლებრივი საქმიანობით აუცილებლად უნდა დაინტერესდეს პროკურატურა და სამართალდამცავები.

ოპოზიციონერი დეპუტატების თქმით, მსგავსი ბრიფინგები, ყოველი საკრებულოს სხდომის დამთავრების შემდეგ გაიმართება.

# საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობები დაამტკიცეს

**ალიონი**. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 6 აპრილის სხდომაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობები დაამტკიცეს:



– **ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისია:** მედეა მახარობლიძე, ნანული ორაგველიძე, თამარ ნადირიძე, ლავრენტი ბიგვავა;

– **განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საქმეთა, გენდერული, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია:** ნინო ტაბატაძე, ირინა საჯაია, თეიმურაზ სალუქვაძე, თამარ ნადირიძე, ნათია შარაშენიძე;

– **საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია:** ლავრენტი ბიგვავა, ლევან თოიძე, ნინო ტაბატაძე, კახაბერ კვაჭაძე, ირინა საჯაია, ლევან მგელაძე, გოჩა მგელაძე;

– **სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია:** გოჩა ძიმისტარიშვილი, კახაბერ კვაჭაძე, ნანული ორაგველიძე, ლევან მგელაძე;

– **სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია:** ლევან თოიძე, თეიმურაზ სალუქვაძე; მედეა მახარობლიძე, გოჩა ძიმისტარიშვილი, ნათია შარაშენიძე, გოჩა მგელაძე.

# აქცია დაბა ლაითურში

**ალიონი.** გასულ ოთხშაბათს დაბა ლაითურის მე-9 რაიონში აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეები წინა ხელისუფლებების დროს გაყიდული მიწების საკუთრებაში გადაცემას ითხოვდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ აქციის შესახებ არ იყვნენ ინფორმირებულნი არც სამხარეო და არც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები. ამ აქციაზე არც ადგილობრივი მედიასაშუალებები იმყოფებოდნენ. პირველი ინფორმაცია ამ აქციის შესახებ გაზეთმა ,,ბათუმელებმა“ გაავრცელა. მოგვიანებით აქციაზე მივიდნენ გურიის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი ქეთი მოისწრაფეშვილი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე.

ლაითურელები აპროტესტებდნენ კომპანია ,,გეოპლანტისა“ და ,,ვანრიკის“ მიერ დაბა ლაითურში მიწების დაბალ ფასებში ხელში ჩაგდებას.

–,,სოფ. მთისპირში, უკანავაში ვიყავით ეკომიგრანტ შავაძეების ოჯახში. შეზღუდული შესაძლებლობის პირს თამუნა შავაძეს გადავეცით სააღდგომო საჩუქრები. ინფორმაციის მიღებისთანავე ლაითურში ჩავედით. ვიცი მათი გულისტკივილი. ეს მიწები ხომ წინა ხელისუფლებების დროს გადაეცათ ,,გეოპლანტს“ და ,,ვანრიკს.“ მიმდინარეობს მოლაპარაკებები და ამ პროცესში გურიის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი ქეთი მოისწრაფეშვილიცაა ჩართული. ამ მოლაპარაკების შესახებ ინფორმირებული იყვნენ ლაითურელები. გეოპლანტმა“ გამოთქვა მზადყოფნა მოსხლების მიერ სასურველი მიწების ფართობების შესაძენად თანხის გადახდა მოხდეს ეტაპობრივად. ამ საკითხზე ჩვენ კიდევ შევხდებით დასახელებული კომპანიების ხელმძღვანელებს. - გვითხრა მერაბ ჭანუყვაძემ.

გაზეთი ,,ალიონი“დაბა ლაითურის მაჟორიტარ დეპუტატს რესან გაბაიძეს ესაუბრა: - რამდენიმე დღით უცხოეთში ვიყავი. აქციას არ დავსწრებივარ. მე ამ პრობლემის მოგვარებაში მხარისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან ერთად ვარ ჩართული. თბილისში ,,გეოპლანტის“ ოფისში შევხდი ამ ფირმის ხელმძღვანელს მიხეილ ჭკუასელს. იგი თანახმაა მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით პრობლემა გადაიჭრას. ამის შესახებ მოსახლეობამ იცის. ვერ ვიტყვი ანალოგიური სიტუაციაა ,,ვანრიკთან“ მიმართებაში. კერძო კომპანიაა და მას ,,გეოპლანტისაგან“ განსხვავებით სხვა პოზიცია უკავია. ამ საღამოსაც (9 აპრილი) შევხდი ქალბატონ ქეთი მოისწრაფეშვილს. კიდევ შევხდებით ,,გეოპლანტის“ ხელმძღვანელებს. ჩვენ პატივს ვცემთ ყველა არასამთავრობოს, მაგრამ მათი შეფასებები გადაჭარბებულია. ეს საკითხი ხელისუფლების დახმარებით უნდა გადაწყდეს.

# ფრაქცია ,,პატრიოტული ალიანსი” დაიშალა

**ალიონი**. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქციის დაშლის მიზეზი პარტია \პატრიოტთა ალიანსის“ ადგილობრივი ლიდერის გოჩა ძიმისტარიშვილის წასვლა გახდა. დეპუტატი თვითონ გვესაუბრა მიზეზებზე, რის გამოც გადაწყვეტილება მიიღო. - ,,სიმართლეა. მე დავტოვე ფრაქცია. ნინო ტაბატაძე (,,საქართველოს გზა“) და ნანული ორაგველიძე (,,პატრიოტთა ალიანსი“) ძალიან ხშირად უპირობოდ, ყოველგვარი ახსნა–განმარტების გარეშე უჭერდნენ მხარს მთავრობას. ასეთი ფრაქციის არსებობა სირცხვილი იქნებოდა ოზურგეთისთვის და \პატრიოტთა ალიანსისთვის“.მე მათ არაერთხელ შევთავაზე თვითონ წასულიყვნენ, მაგრამ არ წავიდნენ, განაგრძობდნენ პარტიის დისკრედიტაციას. სხვა გზა არ დამიტოვეს. იძულებული



გავხდი, დამეტოვებინა ფრაქცია, რადგან ჩემთვის მთავარია ოზურგეთი და ოზურგეთელები და არა ნინო ტაბატაძე და ნანული ორაგველიძე, რომლებიც მიეყიდნენ ქართულ ოცნებას”.- გვითხრა ძიმისტარიშვილმა.



ქრისტე აღდგა!

გილოცავთ მაცხოვრის აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს - უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულთა შორის!

გისურვებთ, იესო ქრისტეს აღდგომის სიხარულით აღსავსე ცხოვრებასა და ბედნიერებას.

დიდი სიყვარულით,

**დიმიტრი კვერღელიძე.**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე



დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ვულოცავ ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს მაცხოვრის სასწაულებრივ აღდგომას, რომელიც სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებას ნიშნავს. დაე, ამ დღის ბრწყინვალება იყოს დასაბამი ქვეყნის მთლიანობის, ქართველთა გამრავლების, ჭირსა და ლხინში ერთმანეთის მხარში დგომისა, ღვთით კურთხეულ საქართველოში.

**ლელა შარაშენიძე,**

ოზურგეთის მუსიკალური სკოლის დირექტორი.



ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას მოგილოცავთ! უფალი აღდგარიყოს ჩვენს სულებშიც! იხარეთ ორთავ სოფელსა შინა!

**ეკა ნინიძე,**

სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორი



ა (ა) იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის **„ფერმერული განვითარების ცენტრი“** გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!



ქვირფასო ოზურგეთელებო, **ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო** გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, კეთილდღეობას და დღეგრძელობას. უფალი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახების მფარველი.



ა (ა) იპ **„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტის და ტურიზმის განვითარების ცენტრი“** გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!



ა (ა) იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის **„მუნიციპალური მომსახურების ცენტრი“** გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!



გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს! გისურვებთ სიკეთეს, სიხარულს და ბედნიერებას. ქრისტე აღდგა... ჭეშმარიტად! **„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების სამსახური“** გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს! გისურვებთ სიკეთეს, სიხარულს და ბედნიერებას. ქრისტე აღდგა... ჭეშმარიტად აღდგა!



ა (ა) იპ **„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო-საბიბლიოთეკო გაერთიანება“** გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!




აფთიაქი „ისიდორე“ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

**ქ. ოზურგეთი, წულაძის ქ.№17** (რ)



შპს **„კარგო“** გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

აქ შეიძენთ საუკეთესო ხარისხის სამშენებლო და სამეურნეო მასალებს, სანტექნიკას, ელექტროტექნიკას!

მხოლოდ მაღალი ხარისხი!

ქ. ოზურგეთი, დ. აღმაშენებლის №4




**„ენერგო პრო ჯორჯიას“ ოზურგეთის სერვისცენტრი** გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!



ქრისტე აღდგა!

ღრმესი პატივისცემითა და სიყვარულით გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. აღდგომის მადლი შეეწიოს თითოეული თქვენგანის ოჯახს. ღვთის რწმენითა და სიყვარულით გვეცხოვროს ერთიან საქართველოში.

**ᲒᲘᲐ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

**ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲝ-ᲡᲐᲑᲘᲣᲯᲔᲢᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ.**



ძვირფასო ოზურგეთელებო, გილოცავთ მართლმადიდებლობის უდიდეს დღესასწაულს — ბრწყინვალე აღდგომას უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი!

გისურვებთ ფიზიკურად ჯანმრთელი და სულიერად ამაღლებული შეხვედროდეთ ყოველ ასეთ სასწაულ დღეს. გეცხოვროთ მშვიდობიან, ეკონომიკურად ძლიერ და სოციალურად უზრუნველყოფილ ქვეყანაში.

გწყალობდეთ უფალი!

**ᲐᲛᲘᲠᲐᲜ ᲒᲘᲠᲙᲔᲚᲘᲫᲔ,**

**ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲨᲔᲡᲧᲘᲓᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ**



აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ვულოცავ სრულიად საქართველოს მართლმადიდებელ მრევლს! უფალი ფარავდეს ჩვენს ქვეყანას, თითოეული თქვენგანის ოჯახს. სულიერ სიძლიერესა და ბედნიერ მომავალს გისურვებთ!

**ᲒᲔᲚᲐ ᲭᲐᲜᲣᲧᲕᲐᲫᲔ,**

**ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓ-ᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ.**




**ᲘᲜᲓᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔ „ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲑᲝᲠᲓᲔᲚᲐᲫᲔ“ ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲡ!**

ᲐᲥ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲝᲗ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘᲡ ᲐᲥᲡᲔᲡᲣᲐᲠᲔᲑᲘ, ᲡᲐᲑᲣᲠᲐᲕᲔᲑᲘ, ᲐᲙᲣᲛᲣᲚᲘᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ, ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲚᲔᲑᲐᲕᲔᲑᲘ „ᲓᲘᲝ“ (ᲐᲕᲢᲝᲓᲘᲐᲒᲜᲝᲡᲢᲘᲙᲘᲗ)

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: Ქ.ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ Ქ.№4

რ




ა (ა) იპ „ქ. ოზურგეთის მერიის სერვისცენტრი“ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!


Coca-Cola



# „ᲙᲝᲙᲐ ᲙᲝᲚᲐ ᲑᲝᲗᲚᲔᲠᲡ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ“ ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲡ!

ᲛᲘᲘᲠᲗᲕᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲐᲢᲝᲜᲘᲖᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲔᲑᲘ

რ




ᲡᲐᲐᲥᲪᲘᲝ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ „ᲘᲛᲔᲓᲘ“ **ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲡ!**

რ




# ᲨᲞᲡ „ᲒᲖᲐᲛᲨᲔᲜᲘ 18“ ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲡ!

**ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲐᲓ ᲒᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲓᲐᲒᲔᲑᲣᲚ ᲒᲖᲔᲑᲖᲔ**

რ




ᲨᲞᲡ „ᲐᲛᲑᲐᲖᲘ“ ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲡ!

# ოზურგეთელ ძიუდოისტთა სამი ბრინჯაო „კოლხეთის თასზე“

3-5 აპრილს ქალაქ ზუგდიდში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი „კოლხეთის თასი“ ჭიდაობა ძიუდოში. აღნიშნულ ტურნირზე 2000-2002 წლებში დაბადებულთა შორის მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს ქალაქ ოზურგეთის სასპორტო სკოლის აღსაზრდელებმა: 38 კგ წონით კატეგორიაში – გელა ქურასბედიანმა, მწვრთნელი დიმიტრი ტუღუში და 45 კგ წონით კატეგორიაში – გიორგი ურუშაძემ, მწვრთნელი დავით ჩიკაშუა; 60 კგ წონით კატეგორიაში ასევე მესამე ასაპრიზო ადგილის მფლობელი გახდა ახალგაზრდებში ოზურგეთელი თომა ჩხატარაშვილი, მწვრთნელი გოჩა ბურჭულაძე.

# სენიორთა ტურნირზე

**ალიონი.** ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში ჩატარდა წინასააღდგომო ტურნირი ჭადრაკში სენიორთა შორის.

ამ საინტერესო ტურნირში 12 მოჭადრაკე მონაწილეობდა. დაძაბულ ბრძოლებში სპორტის ოსტატობის კანდიდატმა, ოზურგეთის ორგზის ჩემპიონმა ვოვა ტაკიძემ გაიმარჯვა. მან 10 ქულა მოაგროვა. გამარჯვებულს ერთი ქულით ჩამორჩა რებული მჟავანაძე. მესამე ადგილზე ვეტერანი მოჭადრაკე, არაერთ ტურნირში გამარჯვებული, პირველთანრიგოსანი რომან კუტუბიძე გავიდა. რომანი თავდაპირველად ლიდერობდა, მაგრამ ტურნირის შუაგულში ზედიზედ ორი პარტია დათმო, თუმცა საფინიშო შეხვედრები ძლიერად ჩაატარა და 8 ქულა მოაგროვა. მე-4 ადგილზე 7.5 ქულით გურამ ღლონტი გავიდა.




მოეწყო გამარჯვებულთა საზეიმო დაჯილდოება.

# მილოცვა

სიყვარულის დღეს - 15 აპრილს დაბადებულ ახალგაზრდა პედაგოგებს მაკვანეთის საჯარო სკოლიდან **ნინო ჭელიძესა** და **ირაკლი მიქაძეს**, ნასაკირალის საჯარო სკოლიდან **სოფო ღლონტს** ვულოცავთ დაბადების დღესთან ერთად ამ ულამაზეს დღესასწაულს.

ვუსურვებთ უდიდეს წარმატებებს პედაგოგიურ საქმიანობაში.

სიყვარულით, იმედით, რწმენით და სათნოებით ევლოთ მათ სავალ გზაზე, უფლის მადლი და წყალობა არ მოკლებოდეთ.

სიყვარულით და პატივისცემით,

**როზა გოგუაძე,**
საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.

# „პასქის ფესტივალი" გელოდებათ 14 აპრილს, 15 საათზე



ძვირფასო მეგობრებო, „პასქის ფესტივალი" გაიმართება აღდგომის ბრწყინვალე კვირის სამშაბათს, 14 აპრილს, 15 საათზე ქალაქ ოზურგეთში, ჭადრების ბაღში, უამინდობისას - რესტორანში „გურია.

ყველამ, ვისაც სააღდგომო კუთხის მორთვით თავი გამოგიჩენიათ ოჯახურ ვიწრო წრეში, ისარგებლეთ შანსით და აჩვენეთ თქვენი კულინარ-დიზაინერული განაცხადი ფართო საზოგადოებას. ფესტივალის შემდგომი არსებობისა და განვითარებისათვის თითოეული თქვენგანის თანამონაწილეობა უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად დაგვიკავშირდით: **ტელ 27 41 44; 551 51 41 44; 599 78 78 33.**

# თვითმმართველი თემი – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს განმეორებით აუქციონს

*(ტექნიკური უზუსტობის გამო იბეჭდება განმეორებით)*

| № | დასახელება | მდებარეობა | საკადასტრო კოდი | მიწის ფართი კვმ | მიწ. შენობის ფართი კვმ | „ბე“ 10 % (ლარი) | „ბიჯი“ 5 % (ლარი) | მონაწილის ბილეთი (ლარი) | საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. ნატანები | 26.01.84.051 | 48 | | 22 | 15 | 50 | 220 |
| 2 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მაღაზია) | სოფ. სილაური | 26.09.18.002 | 273 | 216 | 140 | 70 | 50 | 1 400 |
| 3 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (სარიტუალო სახლი) | სოფ. ნატანები | 26.01.84.036 | 1134 | 722 | 2 830 | 1 415 | 50 | 28 224 |
| 4 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ყოფილი უნივერმაღის შენობა) | დაბა ლაითური | 26.25.13.015 | 977 | 1312 | 2 600 | 1 300 | 50 | 26 000 |
| 5 | არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | დაბა ურეკი | 26.28.18.191 | 104 | | 500 | 250 | 50 | 5 000 |

აუქციონებში გამარჯვების კრიტერიუმია

ა. საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;
ბ. საპრივატიზაციო თანხის დაფარვა აუქციონის ჩატარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში;

*სააუქციონო პირობები*

ა. ვალდებულების აღება სააუქციონო პირობების დაკმაყოფილებაზე;
ბ. შემსყიდველმა უნდა უზრუნველყოს შესყიდვიდან 6 თვის ვადაში - ობიექტის დემონტაჟი და ობიექტზე მიმაგრებული ტერიტორიის მოწესრიგება-გასუფთავება (დემონტაჟის შედეგად დარჩენილი საამშენებლო ნარჩენების ტერიტორიიდან გატანა)

*აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:*

*დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განცხადება;*
*„ბე“-ს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;*
*მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;*
*პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;*
*ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;*
*სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);*
*"აუქციონში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, ან ასეთ პირთა გაერთიანებას, რომელთა ქონებაში საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვიმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25 %-ზე ნაკლებია;*
*"„ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემოსავლების ერთიან ანგარიშზე, შემდეგ სახაზინო კოდზე 300903205;*
*დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიაში“; მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. 1 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა;*
*აუქციონში მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, 2015 წლის 6 აპრილიდან 7 მაისის 12 სთ-მდე;*
***აუქციონი ჩატარდება 2015 წლის 7 მაისს, 14 სთ-ზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შენობაში;***
*"ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისია“*
*ტელ: 595 906 305, 599 33 32 23, 599 70 47 70."*

## გენდერული საკონსულტაციო საბჭოები სოციალური ცვლილებებისთვის რეგიონებში

კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ ახორციელებს პროექტს „გენდერული საკონსულტაციო საბჭოები-ქალთა როლის ამაღლება რეგიონებში სოციალური ცვლილებებისთვის“

პროექტის ფარგლებში მორიგი შეხვედრა გასული კვირის ოთხშაბათს გენდერის მედიაცენტრში, გურია **NEWS**-ის ოფისში გაიმართა. ლალი შენგელიამ (ფონდ „სოხუმის“საინფორმაციო სექტორის დირექტორი) და შეხვედრის მონაწილეებმა განხორციელებული აქტივობების შედეგები შეაჯამეს და მომავალი გეგმები დასახეს.

პროექტი მიზნად ისახავს ქალთა მონაწილეობის გაზრდას ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ოზურგეთის „საკონსტიტუციო საბჭომ“ ქალაქის სკოლებში დაასრულა პროექტი „ახალგაზრდები-გენდერული პოლიტიკის ხელშეწყობისთვის“, რომლის თანადამფინანსებელიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოა. პროექტის ბოლოს ჩატარდა ახალგაზრდული ფორუმი „გენდერის კულტურა“. ჩამოყალიბდა ახალგაზრდული საკრებულო და გენდერული საკონსულტაციო საბჭო. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დააფინანსა ორი პროექტი „ახალგაზრდები-გენდერული პოლიტიკის ხელშეწყობისათვის“და „კიბო განაჩენი არ არის“

# ოზურგეთის „მერცხალი“ „ბორჯომთან“ დამარცხდა



ოზურგეთის „მერცხალს“ შარშანდელივით მძიმე ფინიში აქვს. კვლავ კითხვის ქვეშ დგას მისი პირველ ლიგაში დარჩენის საკითხი. ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თუნდაც ქულის მოპოვებას, გათამაშების მე-2 საფეხურზე მყოფ „ბორჯომთან,“ თუმცა ეს ასე არ მოხდა.

მატჩს ქუთაისელ მსაჯთა ბრიგადა სჯიდა (მთავარი მსაჯი ეროვნული კატეგორიის მსაჯი გიგი კიკაჩეიშვილი)

„ბორჯომი“ მცირე ტექნიკური უპირატესობით სჯობნიდა პირველი ტაიმის დასაწყისში „მერცხალს.“ 23-ე წუთზე ქუთაისელმა მსაჯმა თანაქალაქელი, ამჟამად „მერცხალის“ თავდამსხმელი ზაურ ხაჭიპერაძე გააძევა მოედნიდან. ეს დიდი დანაკლისი იყო გუნდისთვის და რიცხობრივმა უპირატესობამ სტუმრებს ხელფეხი გაუხსნა. 43-ე წუთზე მიხეილ ჩხარტიშვილმა სტუმრები დააწინაურა-0:1.

მეორე ტაიმში „მერცხალი“ იბრძოდა გოლის გატანისთვის. მას შეეძლო 66-ე წუთზე ანგარიშის გათანაბრება, ასევე საუკეთესო საგოლე მომენტი შექმნეს ჩვენმა ფეხბურთელებმა მე-80 წუთზე. თუმცა ამ შეტევას სწრაფი კონტრშეტევა მოჰყვა და ბორჯომელთა ორსვლიანი კომბინაცია მიხეილ როსტიაშვილის ზუსტი თავური დარტყმით დასრულდა. 2:0 გაიმარჯვა „ბორჯომმა.“

უნდა აღინიშნოს, რომ ოზურგეთელი მაყურებლები საყვედურს გამოთქვამდნენ არაობიექტური მსაჯობის გამო. როგორც ჩანს, ამაზე დაიბოღმა მთავარი მსაჯი და შესვენებეზე მოედნის დატოვების შემდეგ, მსაჯთა ოთახისკენ მიმავალმა შეიგინა მაყურებლების მისამართით.....მას ამისთვის ხომ წითელ ბარათს არავინ აჩვენებდა.

# ერთმანეთი უკეთ გავიცნოთ

ჩვენთვის ყოველი დილა საბავშვო ბაგა-ბაღით იწყება. ბედნიერებაა, როცა შვილს საიმედო ადამიანებთან ტოვებ, და დღის ბოლოს მასთან შეხვედრას მოუთმენლად ელოდები. თუმცა ეს დღე განაკუთრებული იყო. მე-4 ბაღის (მენეჯერი მარიკა ღლონტი) ნანა კეკელიძემ ბაღში ლამაზ გარემოში მიგვიპატიჟა - მშობელთა კრება ფინჯან ჩაიზე, რათა უკეთ გაგვეგო, როგორია ჩენი შვილები სახლში და ბაღში. ამ მიმართებით ერთმანეთს აზრები გავუცვალეთ. ვისაუბრეთ თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ თავისებურებებზე, ვნახეთ ჩვენი პატარების ნამუშევრები. ეს იყო შედეგი იმ დიდი შრომისა, რომელსაც პედაგოგი და ბაღის თანამშრომლები ეწევიან წლების მანძილზე. შევავსეთ სპეციალური კითხვარი, რაც ორთავე მხარეს დაგვეხმარება პატარებთან ურთიერთობაში. ამ ლამაზი დღისთვის, გაწეული უდიდესი შრომისთვის გვინდა მადლობა გადავუხადოთ პედაგოგს, ბაღის ყველა თანამშრომელს. მადლობა სკოლამდელ საგანმანათლებლო ცენტრს (ხელმძღვანელი ეკა ნინიძე) რადგან ვხედავთ, რომ კვება უსაფრთხო და ხარისხიანია. ასევე გვინდა აღვნიშნოთ ჩვენი და ჩვენი პატარების უდიდესი ნატვრა, ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია, რასაც მოუთმენლად ველოდებით.

**ბაღის აღსაზრდელთა**

# ქვის კეცების მთლელი შუაგანახლებიდან....

## ავთანდილ სიხარულიძე: არ მინდა გაქრეს გურიაში ქვის კეცების დამზადების ტრადიცია



ალიონი. გასულ ოთხშაბათს ქ. ოზურგეთში, თაყაიშვილის ქუჩაზე ქვის კეცების ოსტატს შევხდით.

64 წლის ავთანდილ სიხარულიძე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. შუა განახლებიდანაა. გურიაში ამჟამად მხოლოდ იგი თლის ქვის კეცებს.

—მამაჩემიც ქვის კეცებს თლიდა. კომუნისტების დროს ყველა დასაქმებულები ვიყავით და კერძო საქმიანობას გვიშლიდნენ, მაგრამ მამაჩემი, ბიძაჩემი და კიდევ რამდენიმე კაცი (სულ 12) შაბათ-კვირაობით უდაბნოს მონასტრის ქვემოთ, სპეციალურ ადგილას, კლდეებში ქვებს ვამუშავებდით და სხვადასხვა ზომის ქვის კეცებს ვთლიდით. მახსოვს ჩოხატაურში, კვირაობით ბაზრობაზე ასეულობით კეცი გამოგვქონდა. სამებიდან შამათავებს ჩამოჰქონდათ კეცები. 200 ცალზე მეტი იყიდებოდა ამ დღეს.

**—ოზურგეთში თუ ჩამოგქონდათ.**

—საუკეთესო ქვის კეცებს თლიდნენ აკეთელები. თუ არ ვცდები ბოლო ვალიკო გოგელია იყო და ისიც გარდაიცვალა. ვცდილობდით, ისეთი კეცები გამოგვეთალა, რომ კონკურენცია გაგვეწია აკეთელებისთვის....

**— ახლა რამდენი იყიდება?**

— ძალიან ცოტა. მეც ბევრს აღარ ვამზადებ. მიყვარს ეს საქმე და სანამ შემიძლია, არ მინდა გაქრეს გურიაში ქვის კეცების დამზადების ტრადიცია.....

<u>ხსოვნა</u>

# გივი მამალაძე



ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების ვეტერანებს ერთი ფრიად ღირსეული პიროვნება გამოაკლდა. არც ისე ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 85 წლის ასაკში გარდაიცვალა გივი ვასილის ძე მამალაძე.

გივი მამალაძე დაიბადა 1930 წელს სოფელ ნაგომარში. 1950 წელს ჩაირიცხა თბილისის საერთო საჯარისო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1953 წელს. 1951 წელს გაწვეულ იქნა სამხედრო შეიარაღებულ ძალებში. 1951 წლის აპრილიდან 1951 წლის აგვისტომდე მსახურობდა 1375-ე სამხედრო საერთო საჯარისო ლეგიონში ამიერკავკასიის ოლქის ჯარების № 414 საერთო საჯარისო დივიზიაში რიგითად. 1951 წლის პირველი სექტემბრიდან 1953 წლის 11 სექტემბრამდე იყო თბილისის საერთო საჯარისო სასწავლებლის კურსანტი; 1953 წლის 11 სექტემბრიდან 1958 წლის 22 ოქტომბრამდე — ოცეულის მეთაური 28-ე სამთო მსროლელი ლეგიონისა მე-10 გვარდიული დივიზიისა ამიერკავკასიის ოლქის ჯარებში; 1958 წლის 22 ოქტომბრიდან 1959 წლის 28 ოქტომბრამდე — ოცეულის მეთაური №35 საერთო საჯარისო ლეგიონში მე-10 გვარდიულ დივიზიაში ამიერკავკასიის ოლქის ჯარებში.

1959 წლის 28 ოქტომბრიდან 1961 წლის 16 აგვისტომდე მუშაობდა ოფიცრად ქობულეთის სამხედრო კომისარიატში; 1962 წლის 14 აპრილიდან 1963 წლის 16 აპრილამდე — ქობულეთის სამხედრო კომისარიატის მე-4 ნაწილის უფროსად;

1963 წლის 16 აპრილიდან 1965 წლის 10 აპრილამდე — ქობულეთის გაერთიანებული სამხედრო კომისარიატის მე-4 განყოფილების თანაშემწედ.

1965 წლის 10 აპრილიდან 1966 წლის 22 აპრილამდე — აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის განყოფილების უფროსის თანაშემწედ;

1966 წლის 22 აპრილიდან 1975 წლის 13 ოქტომბრამდე — მახარაძის რაიონის სამხედრო კომისარიატის მე-2 ნაწილის განყოფილების უფროსად; 1975 წლის 13 ოქტომბრიდან 1983 წლის 29 მაისამდე — წულუკიძის რაიონის სამხედრო კომისრად. 1993 წლის თებერვლიდან — ხელშეკრულებით ოზურგეთის რაიონის სამხედრო კომისარიატის მე-3 სექტორის უფროსად.

წავიდა ჩვენგან დამსახურებული კაცი, კარგი ოჯახის ხელმძღვანელი, უბადლო მეგობარი და უნაკლო პიროვნება.

**გემშვიდობებით, ჩემო გივი,**
**გემშვიდობებით! ნათელში იყავ,**
**ჩვენც მალე მოვალთ,**
**არ დაგწყდეს გული.**

უახლოესი მეგობრების სახელით,
**მურმან დუნდუა.**

# ღირსეული ადამიანები



წელი წელს ენაცვლება და დრო საკმაოდ სწრაფად გადის. იცვლებიან თაობები და ამ ცვლილებებში რჩება სახელი ადამიანების, სახელი მათი ღვაწლის შესატყვისი. არ არის ადვილი იცხოვრო ისე, რომ საწუთროდან წასვლის შემდეგ დიდი სიყვარულით და პატივისცემით მოგიგონონ, როგორც ამაგდარი. ამისთვის საკუთარი ცხოვრების დიდი ნაწილი სხვათათვის უნდა გასცე, გასცე უანგაროდ. ასეთთა შორის თამამად შეიძლება ისაუბრო აწ გარდაცვლილ ღირსეულ ქალბატონ თამარ თავაძეზე.

ათეულობით წელი მიუძღვოდა ქ-ნ თამარს № 1 საბავშვო ბაღში. იქ, სადაც გულწრფელი სიყვარულით ელოდნენ პატარები, მისი გულისა და სულის ნაწილები. ელოდნენ კოლეგები, როგორც საუკეთესო ხელმძღვანელს, საიმედო მეგობარს.

ბაღის გამგე თამარ თავაძე, რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, მოვალეობის მაღალი გრძნობით, სიკეთის მთესველი, ბავშვებზე მუდმივად მზრუნველი, სამართლიანი, საუკეთესო დედა და პიროვნება, ადამიანი, რომელმაც არა მხოლოდ ბავშვთა მთელი თაობები აღზარდა, აღზარდა პედაგოგები. მუშაობის მის მიერ დანერგილი სტილი დღესაც წარმატებით გრძელდება. მასთან ერთად უდიდეს შრომას ეწეოდნენ აღმზრდელ-პედაგოგთა საუკეთესო გუნდი : ***ნუნუ ჯიბუტი, მადონა ჩხაიძე, ცისანა ქილიფთარი, ქეთო სალუქვაძე, ტუფა სიხარულიძე, მაშურა სიხარულიძე, ჩიტო ლომინაძე, თინა მჟავანაძე, ლილი მდინარაძე, თინიკო კუპრაძე, ციალა თოდრაძე, ქეთო ჯაში, ვალინო ჩხაიძე, ლიზა ტრაპაიძე, ქეთო ღლონტი, თინა ცინცაძე, კარნელია თავაძე, თინა გაგუა, გალინა ტოროტაძე, მედიკო ჩხაიძე, მანია ემიროვა, ციალა დონაძე, ჟორა კალანდაძე, მიშა მეგრელაძე***.

წავიდნენ ჩვენგან ისინი, დარჩა ხსოვნა მათზე, როგორც ღირსეულ ადამიანებზე, ხსოვნა სევდითა და ღიმილით მოსაგონარი, ღმერთმა დაუმკვიდროს მათ სასუფეველი.

**№1 საბავშვო ბაღის თანამშრომლები, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია.**

# სამგლოვიარო განცხადებები

ოზურგეთის ცენტრალური აფთიაქის გაერთიანება მწუხარებით იუწყება ყოფილი მმართველის, პროვიზორ **გურამ თალაკვაძის** გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი პროვიზორის, ბატონ **გურამ თალაკვაძის** გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

# ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად!







## გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!




## შპს „ვასაძის პური“ გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!









## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| 13 აპრილი ორშაბათი | 14 აპრილი სამშაბათი | 15 აპრილი ოთხშაბათი | 16 აპრილი ხუთშაბათი | 17 აპრილი პარასკევი | 18 აპრილი შაბათი | 19 აპრილი კვირა |
|---|---|---|---|---|---|---|
| წვიმა, +6+8 | წვიმა, +4+11 | მზე, +5+14 | მზე, +8+15 | მზე, ღრუბელი +12+17 | მზე, +18+20 | მზე, +15+21 |